Image not found or type unknown

საია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთან დაკავშირებულ ცვლილებებს ეხმიანება

საქართველოს პარლამენტი *დაჩქრებული წესით* განიხილავს საქართველოს კანონის პროექტს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე," რომლის ინიციატორია - საქართველოს მთავრობა. კანონპროექტის მიზანს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და აღნიშნული ინსტიტუტის მარეგულირებელი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს.

უშუალოდ ნორმატიული აქტის პროექტის შინაარსის განხილვამდე, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ საპარლამენტო საქმიანობის ერთ უაღრესად ნეგატიურ ტენდენციაზე ყურადღების გამახვილებას. საკანონმდებლო ორგანოს მიერ კანონის მიღების პრაქტიკის ანალიზი მიუთითებს, აღნიშნული ორგანოს მიერ დაჩქარებული პროცედურის ხშირ გამოყენებაზე. მაგალითად, საგაზაფხულო სესიის ბოლო კვირაში ბიუროს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ექვსი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის თაობაზე. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, კანონის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება გულისხმობს სამივე მოსმენით მის განხილვასა და მიღებას პლენარული სხდომების ერთი კვირის განმავლობაში.   ბუნებრივია, არსებობს გარემოებები, რომლებიც გარდაუვალსა და აუცილებელს ხდის რიგ შემთხვევებში აღნიშნული პროცედურის გამოყენებას, თუმცა საგულისხმოა, რომ პრაქტიკაში დაჩქარებული პროცედურის გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის არ ემყარება მტკიცე არგუმენტაციასა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღების ნეგატიური ასპექტების ჯეროვან ანალიზს. ამასთან, დაჩქარებული პროცედურა უაღრესად მჭიდრო ვადებით ხასიათდება, რაც, ფაქტიურად უსპობს სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმდინარე საკანონმდებლო პროცესში სრულყოფილი ჩართულობის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ დაჩქარებული პროცედურის პრობლემურ ბუნებაზე ყურადღება ასევე გამახვილებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს მიერ მომზადებულ ანგარიშში - „საკანონმდებლო პროცესის შეფასება საქართველოში". ანგარიშში აღნიშნულია, რომ *მთავრობამ და პარლამენტმა უნდა გადახედონ მათ რეგლამენტებს უფრო მკაფიო კრიტერიუმების დასადგენად, რათა განისაზღვროს თუ როდის იქნება კანონპროექტი დაჩქარებული წესით მისაღებად, ამავდროულად საჭიროა მოთხოვნილი*

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

იქნეს პროცედურის გამოყენების დასაბუთება.[1] სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ საქართველოს პარლამენტმა მხედველობაში მიიღოს როგორც ეუთოს რეკომენდაცია, ასევე დაჩქარებული პროცედურის ნეგატიური მხარეები და უახლოეს მომავალში განიხილოს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების გაცილებით ვიწრო საკანონმდებლო ჩარჩოს რეგულირების საჭიროება.

რაც შეეხება თავად კანონის პროექტს, ვთვლით, რომ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება შემდეგ საკითხებზე:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საგნობრივი განსჯადობა - კანონპროექტის თანახმად, ახლებურად განისაზღვრება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საგნობრივი იურისდიქცია, რაც სისხლის სამართლის კონკრეტულ მუხლებზე მითითებას გულისხმობს. მართალია, აღნიშნული ინსტიტუტის ფუნქციონირება არსებული რეალობითაც გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მყარ გარანტიას მისი სრულყოფილი ამოქმედებისათვის - *საქმე განხილული უნდა იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, თუკი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.*[2] ამ ეტაპზე საკითხის გადაწყვეტა, ნაცვლად გარდამავალი დებულებებისა, ნორმატიული აქტის ძირითად ნაწილში იგეგმება, რაც ვფიქრობთ გაუმართლებელია. მუდმივი წესის სახით ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის გავრცელება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მხოლოდ რიგ მუხლებზე აჩენს არაერთ კითხვას, როგორც თანასწორი მოპყრობის პრინციპთან, ასევე იმ კრიტერიუმებთან მიმართებით, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულთა შერჩევის საფუძველი გახდა.[3]

ნაფიც მსაჯულთა შეუთავსებლობა - გაუმართლებლად მივიჩნევთ, გამონაკლისების სიიდან ისეთი პროფესიების ამოღება, როგორიცაა - გამომძიებელი, პოლიციელი, იურისტი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი. ვთვლით, რომ კონკრეტული პროფესიების შეზღუდვისას კანონმდებლის მიზანს მსაჯულებზე ყოველგვარი ზემოქმედების გამორიხვა წარმოადგენს. დასახელებული პროფესიის ადამიანები ფლობენ იმ განსაკუთრებულ ცოდნასა და უნარებს, რომელთა გამოყენების შემთხვევაში არსებობს მომეტებული რისკი მათი მხრიდან დომინანტური მდგომარეობის მოპოვებისა და დანარჩენ მსაჯულებზე ზემოქმედების განხორციელების, რაც დიდწილად საბოლოო ვერდიქტის განმსაზღვრელი შეიძლება გახდეს. განმარტებით ბარათში მითითებული არგუმენტი მხარეთა დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი აცილების უფლების შესახებ სრულყოფილად ვერ აგვარებს წამოჭრილ პრობლემას, სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ გაზიარებული უნდა იქნეს ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორიცაა იტალია, ესპანეთი, შვედეთი, პორტუგალია, დანია, პოლონეთი და შენარჩუნებული იქნეს მსაჯულთა შეუთავსებლობის მოქმედი წესი.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა - ცვლილებების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა ღიაა, თუმცა იგი შეიძლება დაიხუროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული ნორმის თანახმად, სხდომა შეიძლება დაიხუროს პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნითაც. აღნიშნული ჩანაწერი იმდენად ფართოა, რომ შესაძლებელს ხდის ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ფაქტიურად ყველა სხდომის დახურვას. ცხადია, ანგარიშგასაწევია მსაჯულთა პირადი ცხოვრების დაცვის საჭიროება, თუმცა მაშინ როდესაც როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე, რომელთა მხრიდან ყველაზე მაღალია მსაჯულთა მიმართ ზეწოლის განხორციელების ინტერესი შერჩევის სხომის მონაწილენი არიან, ყოველგვარ ლეგიტიმურ მიზანს მოკლებულია საზოგადოების მიმდინარე პროცესიდან გამორიცხვა. შესაძლებლობა, რომ შერჩევის სხდომათა დიდი ნაწილი დარჩეს სამოქალაქო მონიტორინგის მიღმა, აბსოლუტურად უგულვებელყოფს ყველაზე მნიშვნელოვანი პროცედურული ეტაპის გამჭვირვალობის საჭირო სტანდარტს და დიდწილად ეჭვს ქვეშ აყენებს დახურული სხდომის შედეგად შერჩეული მსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობას. მაშინ როდესაც, სასამართლოს გააჩნია არაერთი ბერკეტი მსაჯულთა პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორიცაა მათი მოხსენიება რიგითი ნომრებით (ნაცვლად სახელისა და გვარისა), განსაკუთრებით სენსიტიურ თემებზე მათთან პირისპირ გასაუბრება და სხვა, უპირობო უპირატესობა სხდომის საჯარო ფორმატს უნდა მიენიჭოს.

ამავდროულად, ინიცირებული კანონპროექტის მიღმა, მნიშვნელოვნია აღინიშნოს

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ *„საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.“* ვთვლით, რომ მსგავსი ხასიათის ზოგადი ჩანაწერი იძლევა ფართო ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ხელისუფლებას უტოვებს განუსაზღვრელ უფლებამოსილებას არსებული პოლიტიკური კონტექსტისა და ინტერესების გათვალისწინებით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო. მსგავსი მიდგომა გაუმართლებელია და ხელშესახებ რისკებს შეიცავს ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირების კუთხით. აღნიშნულზე დაყრდნობით, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ სამომავლო პერსპექტივაში სახელმწიფომ განიხილოს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო აქტში იმ ძირითადი გარანტიების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხი, რომელიც შექმნის სტაბილურ გარემოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირებისათვის.

იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს პარლამენტი მხედველობაში მიიღებს საია-ს მიერ როგორც კონკრეტულ კანონის პროექტთან, ასევე ზოგადად დაჩქარებული წესით კანონების მიღებასთან დაკავშირებით დასმულ საკითხებს და გადადგმას შესაბამის ნაბიჯებს აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად.

---

[1] specific attention should be paid to the accelerated procedure whereby ‘urgent laws’ are discussed and adopted: the Government and the Parliament may consider reviewing their Rules of Procedure to provide for clearer criteria for defining when draft laws are considered “urgent”, and to require a justification when the accelerated procedure is applied;

[2] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის პირველი პუნქტი;

[3] ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის მიღმა რჩება არაერთი დანაშაული, რომელიც სასჯელის სახით 10 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს,